



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

მ მ მ მ №17

ქ. ბათუმი

2018 წლის 27 დეკემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

ლამა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ ღუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

ნატალია ძიმიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლ. კომახიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი -
- ე. ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მ. რამიშვილი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ე. ქავჭარაძე;
- საზოგადოება „ბათუმის“ წარმომადგენელი - ნ. ინაიშვილი;
- ჟურნალისტი - ი. ზოიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევიანარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დღის წესრიგთან დაკავშირებით პროცედურული საკითხების გაკეთების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-13, მე-14 და მე-15 საკითხების ადგილმონაცვლეობის თაობაზე, კერძოდ: აღნიშნული საკითხები განხილულ იქნას პირველი საკითხის განხილვის შემდეგ.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგიდან მე-9 და მე-12 საკითხების ამოღების თაობაზე, რადგან არსებობს კითხვები არა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი სახლებიდან მოქალაქეების გაყვანაზე, არამედ მათთვის ბინების გადაცემაზე და საკითხის სრულყოფილად შესწავლის გამო.

ქ. ბათუმის მერის განმარტებით, არსებობს დასკვნა, რომ ბათუმში, კონკრეტულ მისამართზე ადამიანები სიცოცხლისთვის საშიშ სახლში ცხოვრობენ. მას იმედი აქვს, საკრებულოს ის წევრები, ვინც დღეს საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება მოითხოვს, აცნობიერებენ ამ რისკებს.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ წამოაყენა წინადადება საკრებულოს მიმდინარე წლის 27 დეკემბრის ბიუროს გადაწყვეტილებით დღის წესრიგში დამატებული საკითხების ამოღების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ ნ. დუმბაძის წამოყენებული წინადადება, საკითხების ადგილმონაცვლეობა დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 3 (ს. თებიძე, ზ. ნაკაიძე, ნ. ზოიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ ლ. სირაბიძის წამოყენებული წინადადება, მე-9 და მე-12 საკითხების ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 3 (ს. თებიძე, დ. ჭეიშვილი, ნ. ზოიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (მ. ართმელაძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ ლ. ანთაძის წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგიდან დამატებითი საკითხების ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 3 (რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე)

წინააღმდეგი - 12

არ მიიღო მონაწილეობა - 4 (დ. ჭეიშვილი, დ. მახარაძე,

ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი, ცვლილების გათვალისწინებით:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარაძე)

2. „ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

3. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

4. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქალაქ ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათელა გოგრაჭაძისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

12. მუნიციპალური პროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

13. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ე. ქავეარაძე)

14. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N80 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 1(ს. თებიძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ლაშა კომახიძეს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ლ. კომახიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ერთწლიანი თანამშრომლობისათვის. თანამშრომლობა იყო ყველა მხრივ სანიმუშო. წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმე იქნა გაკეთებული ბათუმის საკრებულოს მიერ, რაც მათ აძლევდა კონფორტულ და საქმის გაკეთების საშუალებას. მან უსურვა ყველას ნაყოფიერი 2019 წელი, მათი საზრუნავი არის ქალაქი და ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მიულოცა ყველას დამდეგი შობა-ახალი წელი, ბედნიერი და წარმატებული წელი ყოფილიყოს 2019 წელი. მან აღნიშნა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 საკითხთან დაკავშირებით, რომ არ დაუჭირა მხარი საკითხის ამოღებას, რადგან ძალიან რთულ პირობებში ცხოვრობენ ადამიანები, საფრთხე ემუქრებათ ყოველდღიურად და მას მიაჩნდა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ის ფიქრობს, რომ პასუხისმგებლობა იმ კოლეგებზე გადანაწილდება, ვინც დაუჭირა მხარი საკითხის ამოღებას დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა ნ. ზოიძის პათოსს.

საკრებულოს წევრი ნ. დუმბაძე მიესალმა მილოცვებს. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ვახტანგ ლლონტი იყო წინასაარჩევნოდ გაბრაზებული ბათუმელების შენობაში სამუშაო პერიოდში. საინტერესოა რატომ და ვისზე იყო გაბრაზებული და დღეს კი გახარებული.

საკრებულოს წევრი ლ. სირაბიძე მიესალმა და მიულოცა ყველას დამდეგი ახალი წელი. რაც შეეხება საკითხების ამოღებას დღის წესრიგიდან აღნიშნა, რომ თითქოს საფრთხე ემუქრება დღეს მოსახლეობას. იქ მცხოვრები ადამიანების დროებით გამოყვანა შესაძლებელია. კონკრეტული დღევანდელი დღის გადაწყვეტილება არაფერს არ ცვლიდა.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ გააცნო მოსახლეობის განცხადება, რომ შპს „ბათუმის წყალი“ მიმართავს ბათუმის მერიას, რომ აბონენტი ამხანაგობებთან

ითხოვს დარეგისტრირებას საცხოვრებელი ეზოებში დამონტაჟდა ე.წ.შადრევანები. საქმე მდგომარეოს შემდეგში: წარმოიშვა დავალიანება, 200-ზე მეტი კორპუსია. მას აინტერესებს თანხის გადამხდელის ვინაობის შესახებ.

ქ. ბათუმის მერმა გასცა პასუხები საკრებულოს წევრებს. უერთდება ნ. ზოიძეს და იმ დეპუტატების მიდგომას, ვინც დაუჭირა მხარი. საუბარი იყო ორ სახლზე, რომელზედაც სამხარაულის დასკვნებია წარმოდგენილი, სადაც მითითებულია, რომ ამ სახლებში ყოფნა არის სიცოცხლისთვის საშიში და მერიას უნდოდა ამ საკითხზე საკრებულოს ნებართვა მოსახლეობის ქირით გაყვანაზე, რაზედაც ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ არსებობს ერისთავის ქუჩის სამხარაულის დასკვნა, მაგრამ მათი გაყვანა არ მომხდარა.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ კოლეგებს ეჭვი აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ტერიტორიის ინტერესია, რადგან ასეთი სახლები ძალიან ბევრია ქალაქში, რომელიც იგივე მდგომარეობაშია.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ მიესალმა ყველას დამდეგი შობა-ახალი წელი, მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა ბინის ქურდობის ფაქტები, ამასთანავე მანქანების საბურავების სარკეების და სხვა აქსესუარების ქურდობა. მან მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ უზრუნველყოს მომატებული დანაშაულის პრევენცია.

საკრებულოს წევრმა გ. მგელაძემ დღის წესრიგიდან მე-12 საკითხის ამოღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება ინდივიდუალურია. თავის უბანში ცხოვრობს ასეთივე მდგომარეობაში მცხოვრები ოჯახი, რომელიც ითხოვს დახმარებას, რის გამოც არ იქნებოდა მართალი ამ საკითხზე მხარი დაეჭირა.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ საკითხი წინა სხდომაზე იყო წარმოდგენილი, მერიას საკრებულოს საფინანსო კომისიამ სთხოვა რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტი არ იყო ჩამოყალიბებული, არ იყო კონკრეტულად გაწერილი, გამომდინარე აქედან თხოვეს, რომ საკითხი საჭიროებდა დაზუსტებას. დღესაც იგივე აქტია შემოსულია საკრებულოში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 156,761.6 ათას ლარს. გადასახდელების საპრო-

გნოზო მაჩვენებელი შეადგენს 73,153.6 ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი- 25 200,0 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადი - 47,953,6 ათასი ლარი. ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 29,900.0 ათასი ლარით, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი - 29,900.0 ათასი ლარი. 2019 წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 43,008.0 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 10,700.0 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 156,761.6 ათას ლარს.

პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

დანართი თან ერთვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრს ლ. ანთაძეს აინტერესებს ბათუმის გენერალური გეგმასთან დაკავშირებით საკითხები, რადგან 2018 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი საკითხი გათვალისწინებული იყო, რომელიც გადმოტანილი იქნა 2019 წელში. ასევე 2018 წელს მერიის ქონების ინვენტარიზაციის თანხა გამოყოფილი იყო, რომელიც გადატანილია 2019 წლის ბიუჯეტში. ბიბლიოთეკის შენობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მდებარეობს ტურისტულ, ცენტრალურ ზონაში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, უხერხულია, რომ შენობის ფანჯრებს ცელოფნები ჰქონდეს აკრული.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა 2019 წელს საბავშვო ბაღის მშენებლობის დაგეგმის თაობაზე, ასევე ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული გონიოში ხიდის მშენებლობის საკითხი.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა ქალაქთან შემოერთებულ ტერიტორიებზე 2019 წლის სამუშაოებთან, ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ქ. ბათუმის მერმა უპასუხა შეკითხვებს: გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქალაქს ჰქონდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალება, რომლის მიხედვითაც აპირებდნენ ტენდერის გამოცხადებას. ამ მიმართულებით აყვანილი იქნა მაღაკვალიფიციური სპეცი-

ალისტი და ჩატარებული ანალიზით მიიღეს ასეთი სურათი: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სრულყოფილი დოკუმენტისათვის საჭირო იყო სივრცითი ტერიტორიული განვითარების გეგმის მომზადება, რომელიც მოიცავს ხუთ დოკუმენტს და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ერთ-ერთი ამ დოკუმენტიდან. სივრცითი ტერიტორიული განვითარების გეგმა იერარქიულად ამ დოკუმენტაციაში დგას ყველაზე მაღალ დონეზე და მოიცავს საკადასტრო რუკას, გეგმას. მერიამ შეიმუშავა სივრცითი ტერიტორიული განვითარების გეგმის ტექნიკური დავალება, რომელიც წარმოდგენილია მისი მოწონება, იმისათვის რომ საბოლოოდ გამოცხადდეს უახლოეს დღეებში ტენდერი ამ მომსახურების შესყიდვაზე. დღეს წარმოდგენილი ტექნიკური დავალება გასაჯაროებულია, მოხდა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიულ საზოგადოებრივ წრეებთან, ყველა შენიშვნა გათვალისწინებულია. რაც შეეხება ინვენტარიზაციას, ამ კუთხით ჩატარდა ტენდერი, თუმცა შემდგომ შეწყდა ხელშეკრულება. მერია ელოდება რეგიონული ფონდის დამტკიცებას აჭარის ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან, რაც საშუალებას იძლევა, რომ დამატებითი სახსრები მიიღოს მუნიციპალიტეტმა. საბავშვო ბაღების მშენებლობის პროცესი გრძელდება. მომხსენებელს დაავალა ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი პროექტების თაობაზე. გონიოში ხიდის მშენებლობას რაც შეეხება აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივაა. მისი ინფორმაციით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა მომავალი გეგმების თაობაზე, რაზედაც ბათუმის მერმა აღნიშნა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეების ვინაობის დადგენას, სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლას და დროებითი საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო ბინის ქირის უზრუნველყოფას. ბათუმის მერია უზრუნველყოფს ავარიული ფართების

მესაკუთრეებისათვის სანაცვლო საცხოვრებელი ფართების შეთავაზებას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდიდან და შესაბამისი სამართლებრივი აქტის ბათუმის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარმოდგენას. შემდგომი სხდომისათვის წარმოდგენილი იქნება საკითხები, კერძოდ ავარიული სახლების დემონტაჟის და ლიკვიდაციის შესახებ. მაცხოვრებლებს გადაეცემათ საცხოვრებელი ფართები და მერია არსებულ მიწის ფართებზე გამოაცხადებს აუქციონს.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა საბავშვო ბაღების ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებით და ბათუმის 27-ე საბავშვო ბაღის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე. მისასალმებელია, რომ ბათუმი არის სპორტული ქალაქის მატარებელი, მაგრამ კარგი იქნებოდა საცხენოსნო კლუბისთვის ტერიტორიის გადაცემა მომხდა-რიყო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად, რაზედაც ბათუმის მერმა განმარტა, რომ პროექტი, რომელიც ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზეა, ითვალისწინებს სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიის ტესტირებას, ძირითადად, საბავშვო ბაღების ენერგოეფექტურად გარდაქმნას. გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, პროექტს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი [KfW] დააფინანსებს. ეს იქნება გრანტი, ყოველგვარი პროცენტების გარეშე. პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე შეირჩევა 25 ბაღი და კულტურული მემკვიდრეობის ერთი ძეგლი. KfW-ის კონსულტანტებმა მოამზადეს დაინტერესებული მხარეებისა და ბათუმის მერიის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების კვლევა. რაც შეეხება ბათუმის ბიუჯეტს, მერის ინფორმაციით, 2019 წელს ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ N27 საბავშვო ბაღის საძირკველს გაამაგრებენ და შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაუტარებენ. გარდა ამისა, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ უკვე მომზადებული აქვს ერთი საბავშვო ბაღის მშენებლობისა და ორი ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპრო-

ექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ ფრაქციის სახელით მოახსენა შენიშვნები, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი გამოხატავს იმ ტენდენციას, რაც დამახასიათებელია პარტია „ქართული ოცნების“ მმართველობისთვის, რომელიც გამოიხატება ბიოკრატიული აპარატის ხარჯების ზრდაში და ქალაქის განვითარებაში, თანხების შემცირებაში. წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით ქალაქის მოსახლეობის დასუფთავების მოსაკრებელი გაზრდილია, შემოსავლების ნაწილში არაფინანსური აქტივების კლებაა. 2018 წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით ხელფასები იყო 18 მილიონ 500 ათას ლარამდე, ხოლო წარმოდგენილ ბიუჯეტში ხელფასები არის 22 მილიონ 115 ათასი ლარი. გამომდინარე აქედან სახელფასო ბიუჯეტი იზრდება. 2018 წელში ინფრასტრუქტურულ ნაწილში ვერ შესრულდა დაგეგმილი ღონისძიებები.

მომხსენებლის განმარტებით, ადმინისტრაციულ ხარჯებს რაც შეეხება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი შეფასებული იქნა მსოფლიო ბანკის მიერ, ბათუმის მუნიციპალიტეტი არის საქართველოში ერთ-ერთი ადმინისტრაციული ხარჯების მართვის წილით ყველაზე მცირე, ეს არის აღიარებული სტანდარტი. ხელფასები გაიზარდა საბავშვო ბაღებში და სანდასუფთავების თანამშრომლებისათვის.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით მოითხოვა 10 წუთიანი შესვენება ფრაქციის სხდომისათვის.

**სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება.
სხდომა განახლდა 12⁵⁵ სთ.**

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 3(ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)
არ მიიღო მონაწილეობა-2(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.**

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა მოსახლეობას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. ბიუჯეტი არის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული, დაიგეგმა და შეიქმნა მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, წარმატება უსურვა ქ. ბათუმის მერს, მერიას და იმედოვნებს, რომ ყველანი ერთად შეძლებს 2019 წელში, ბიუჯეტის ნაწილში იქნებიან ბევრად უფრო ეფექტურები და შედეგზე ორიენტირებულები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ გამოაცხადა 14⁰⁰საათამდე შესვენება.

სხდომა განახლდა - 14⁰⁰სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები-მ. ართმელაძე, ი. თოფურიძე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია, ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის (რეგულირების) დოკუმენტაციის მოწონება, რომელიც უზრუნველყოფს ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ განვითარებას, დაინტერესებულ პირთა ინტერესების მაქსიმალურად დაახლოებას და შეჯერებას, ქალაქგანვითარების საერთო ხედვასა და სტრატეგიაში. სამუშაო შესრულებულია მოწვეული ექსპერტის ვ. ჯოხაძის დახმარებით, დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და მშენებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტაციის მოწონების შემდგომ უზრუნველყოფილი იქნება კონკურსის გამოცხადება და ყველა იმ ტექნიკური საკითხის დამუშავება, რაც გათვალისწინებულია „ქ. ბათუმის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე“ წარმოდგენილ წინამდებარე დოკუმენტაციაში.

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა წარმოდგენილი დოკუმენტის განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ სივრცით-ტერიტორიული განვითარების ტექნიკური დავალება არის პირველი დოკუმენტი, მეორე

კი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალება, მესამე-ჩამოყალიბებული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმა, მეოთხე-დასახლებათა ტერიტორიების რეგულირების გამოყენების წესებში განახლება და ცვლილებების შეტანა, მეხუთე-ქალაქმშენებლობითი კადასტრი, რომელიც არის საინფორმაციო სისტემა, ნაკვეთი დაიტვირთება სხვადასხვა ფენებით. იქნება ბაზა თითოეული კადასტრისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2(ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოიხმინეს:

3.„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის

ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების

უფროსი - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, ცენტრალურ ნაწილში მდებარე მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების მიზანია სამართლებრივი და გეგმარებითი საფუძვლების მომზადება, ბათუმის ცენტრში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის. საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სასტუმროს, კომერციული და დამხმარე ფუნქციის შენობა-ნაგებობების, მათ შორის მშენებლობა, ასევე მუნიციპალური პარკის კეთილმოწყობა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შპს „ბათუმი რივიერას“ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის განვითარება, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით აღებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთების განვითარება და სარეკრეაციო ტერიტორიის კეთილმოწყობა.

აზრი

გამოთქვას:

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ინვესტიციას ხელი უნდა შეუწყვეთ, მაგრამ მისი ერთადერთი მოსაზრებაა საცხო-

ვრებელი ბინების კონცეფციის სხვა რაღაცით შეცვლა.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ კერძო კომპანიის მიერ შემოსული განცხადებით ეცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მან 20 დღის განმავლობაში უნდა დაასრულოს გეგმარებითი დავალება და საკრებულოს წარუდგენენ კვლევის შედეგებს, სადაც გამოჩნდება, რას აპირებს კომპანია. ამის საფუძველზე საკრებულო შეაფასებს. კომპანიამ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუმართა პრეზენტაცია, მაგრამ საკრებულო და მერია არ არის ინფორმირებული რა ტიპის მშენებლობა იგეგმება. მისი მოთხოვნაა კვლევების ჩატარების შემდეგ აუცილებლად მოხდეს ფართო საზოგადოებასთან პროექტის განხილვა,

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ განაცხადა, რომ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობის პერიოდში იმდროინდელი ოპოზიცია და დღევანდელი ხელისუფლება აპროტესტებდა ხეების მოჭრას და მშენებლობას. დღეს იმავე კომპანიას გადაეცემა 1000 კვადრატულ მეტრზე მეტი მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს წევრმა მ. ართმელაძემ აღნიშნა, რომ ტერიტორიაზე კვლევების ჩატარების შემდეგ შენდება კორპუსები, რაზედაც დასვა შეკითხვა აშენებული კორპუსის გენერალურ გეგმაში მოხვედრის თაობაზე, მომხსენებლის განმარტებით, განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისწინებს დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით, რომ ბათუმის მასშტაბით ნებისმიერ 2000 კვადრატულზე დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ფონდი ქართუს მიერ აშენებული ობიექტები იძლევა დივიდენდების სახით უკან თანხას. სწორედ ეს თანხები ზრდის ბიუჯეტს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მოქალაქეებს.

ნ. ინაიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის მთავრობის მიმართ აქვს პრეტენზია, უნდა დაიცვან ქალაქის ინტერესები, ქალაქის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა. ასევე უნდა იფიქროთ მომავალ თაობებს რას დაუტოვებთ, პასუხისმგებელი ხართ ყველა თქვენგანი. ეს

ეხება ქალაქის ზღვისპირა კონცხს, რომლის ფსკერზეც ქალაქის კანიონია და ამ ნაპირის ასე გაჭრა—გადაკეთება წარმოდგენელია, ეს ეხება იმ ზონას სადაც ისტორიული ძეგლი დგას - შუქურა!

ირმა ზოიძემ გამოეხმაურა ნ. ზოიძეს, რომ საზოგადოების აზრი უნდა იხელმძღვანელოთ, აუცილებელი პირობაა საზოგადოების, სპეციალისტების მოსმენა. სპეციალისტები კი ამბობენ, რომ ეს არის ის ადგილი, სადაც არ შეიძლება მაღალსართულიანი შენობები.

ზეინაზ დიასამიძემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ ამ ადგილის უკან დგას ძველი ბათუმი, რომელიც ხვალ ამ პროექტით დაიმარხება. ასევე თამარ ცეცხლაძემ განაცხადა, რომ იქ მცხოვრები მოსახლეობა არ ეთანხმება წარმოდგენილ საკითხს, გამომდინარე აქედან უნდა მოხდეს მოსახლეობის აზრის გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 1(ო. თოფურძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 5 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე,

რ. ზოიძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(მ. ართმელაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის

ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების

უფროსი - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისათვის პარკირების წესების განსაზღვრა. ქალაქის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განისაზღვროს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ავტომანქანების პარკირებისათვის საზოგადოებრივ საქმიან ზონაში 150 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა, ხოლო საცხოვრებელ ზონაში 180 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა. ასევე სასტუმროებისათვის ნებისმიერ ზონაში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა. „თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის #50 დადგენილების 15 პრიმა მუხლი განსაზღვრავს დამატებით საპროექტო პირობებს, თუმცა პარკირების წესები დადგენილია ზოგადად, ყველა ტიპის საპროექტო ობიექტისათვის, არ არის გამოქვნილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და სასტუმროს დანიშნულების ობიექტებისათვის პარკირების წესი განსაზღვრულ ფართზე. აღნიშნული ცვლილება მიზანშეწონილია, გამომდინარე იქედან, რომ უკვე განსაზღვრული ფართის მიწის ნაკვეთებზე მშენებელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებს პარკირებისათვის განსაზღვრულ წესებს, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“.

ქ. ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ აღნიშნა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ქმნის გასაგებ, ჩამოყალიბებულ მუშაობის წესს ამ სფეროში. დღემდე არ იყო განსაზღვრული K² კოეფიციენტის მიცემის კონკრეტული ზღვარი და ა. შ. მენაშენებს არ ექნება კითხვები. მან ბოდიში მოუხადა საკრებულოს წევრებს სხდომის დატოვების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 3 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურიძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

5 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების ავტობუსებისათვის (M3 კატეგორია – 5 ტონაზე მეტი), წყლის მიწოდებისა და წყალარინების საქმიანობის სფეროში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს, 2021 წლის 1 იანვრამდე; საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების მართვის სფეროში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს 0,01 პროცენტს, 2021 წლის 1 იანვრამდე.“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 6 (დ. ჭეიშვილი, ლ. სირაბიძე, მ. ართმელაძე, ნ. დუმბაძე, ი. თოფურიძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი სამტატო რიცხოვნობის 5%-ს.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველო სკანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანშეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.

შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2019 წლისათვის განისაზღვრა 37 ერთეული, რაც აღემატება შტატით დასაქმებულთა რაოდენობის 5%-ს. შესაბამისად, 2019 წლის 1 იანვრიდან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდა მოხდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 6 (ლ. სირაბიძე, დ. ჭეიშვილი, მ. ართმელაძე, ი. თოფურიძე, ნ. დუმბაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი სამტატო რიცხოვნობის 5%-ს.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველო სკანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანშეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.

შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 18 ერთეულს, ხოლო მიმდინარე ეტაპისათვის გათვალისწინებულია ასევე არაუმეტეს 18 ერთეული.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 6 (ლ. სირაზიძე, დ. ჭეიშვილი, მ. ართმელაძე, ი. თოფურიძე, ნ. დუმბაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქალაქ ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“-ს შორის 2015 წლის 25 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით, პოლიკლინიკას, სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ. ფართი (I სართული). ამავე პოლიკლინიკას 2018 წლის 18 მაისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის რაიონში სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500). მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადები ამოიწურა მიმდინარე წლის 25 იანვარსა და 18 მაისს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 20 ნოემბერს შემოტანილი N01-09/1215 (N31829/25) წერილით შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“ ითხოვს ზემოთ აღნიშნული ფართების, რომლებშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორიები, სიმბოლურ ფასად - 500-500 ლარად სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“-ს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ. ფართი (I სართული) და ხელვაჩაურის რაიონში სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი

(საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500), სიმბოლურ ფასად, 5 წლის ვადით, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს სარგებლობაში, სამედიცინო მომსახურების გაგრძელების მიზნით და სარგებლობის წლიური საფასური ორივე ობიექტისათვის განისაზღვროს 1000,0 (ათასი) ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ არ არის სწორი მიდგომა, სიმბოლურ ფასად გადაცემა, მაშინ როდესაც შპს მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. კარგი იქნებოდა საპრივატიზაციოდ გატანილიყო, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს არის 100 %-იანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში მოქმედი საწარმო და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ის საწარმოები, შპს-ები, რომელთა წილში სახელმწიფოს ან თვითმმართველობის პროცენტობა 25 %-ზე მეტია, ისინი აუქციონში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ წამოაყენა წინადადება ცვლილება იქნას შეტანილი აღნიშნულ პროექტში, კერძოდ გადაეცეს ერთი წლის ვადით და ერთი წლით დამატებით გაგრძელების შესაძლებლობით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 5 (დ. ჭეიშვილი, რ. თავართქილაძე,
ი. თოფურიძე, ნ. დუმბაძე, ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 2 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

9...ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა ფარგლებში, თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 აპრილის #26 განკარგულებით ქ. ბათუმში, 226ბ კვარტალში, ს. ხიმშიაშვილისა და ლერმონტოვის ქუჩების მიმდებარედ (დღეისათვის ლერმონტოვის ქ. N107ლ) არსებული 2333,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012) გამოიყო მუნიციპალური მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. ბოტანიკურ ბაღში მცხოვრები ოჯახების განსახლების მიზნით ქ. ბათუმში, ს. ხიმშიაშვილისა და ლერმონტოვის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე ა(ა)იპ ასოციაცია „ატუ“-ს მიერ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქათუ“-დან გრანტის პროგრამის ფარგლებში მიღებული თანხებით აშენებული იქნა ხუთსართულიანი 42 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც უსასყიდლოდ, საკუთრებისა და განკარგვის უფლებით გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მცხოვრები ოჯახების სამსახურეობრივი საცხოვრებელი სადგომებიდან ს. ხიმშიაშვილისა და ლერმონტოვის ქუჩების მიმდებარედ ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლში განსახლება (ყველა საცხოვრებელი ფართის (ბინები) უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემა), თუმცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარჩა 544,0 კვ.მ. სხვენი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501; სხვენიში არსებული კიბის უჯრედი: 21,0 კვ.მ. სართულის ფართობი: 565,0 კვ.მ.) და 546,0 კვ.მ. სარდაფი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500; სარდაფში არსებული კიბის უჯრედი: 39,90 კვ.მ. სართულის ფართობი: 585,90 კვ.მ.). აღნიშნულ მრავალბინიან სახლში შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“, რომლის წევრებმაც 2018 წლის 26 ივნისს N20441/25 განცხადებით მომართეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვეს ხსენებული სამეურნეო ფართების (სხვენი სარდაფი) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 01 ოქტომბერს N25/17795 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მითითებული სხვენისა და სარდაფის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის საკითხის განსახილველად, შემდგომში ამავე მრავალბინიანი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“-ს წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 29 ოქტომბერს შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N1383/02 (N30010/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში მდებარე 544,0 კვ.მ. სხვენისა (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501) და 546,0 კვ.მ. სარდაფის (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.500) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“-სათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, შემდგომში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნდობა“-სათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემად, ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N107ლ-ში მდებარე 544,0 კვ.მ. სხვენი (საკადასტრო კოდი: 05.26.04.012.01.01.501) და 546,0 კვ.მ. სარდაფი (საკადასტრო

კოდი: 05.26.04.012.01.01.500) საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: 4 (დ. ჭეიშვილი, რ. თავართქილაძე,
ი. თოფურაძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათელა გოგრაჭაძისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 23 ივლისს #22733/25 განცხადებით მომართა ნათელა გოგრაჭაძემ, რომელშიც აღნიშნავს, რომ დღემდე ცხოვრობს ბოტანიკურ ბაღში, სადაც ეტაპობრივად ხდებოდა მაცხოვრებლების გაყვანა და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება ქ. ბათუმში. 1973 წლიდან ცხოვრობდა მისი ძმის, კარლო გოგრაჭაძის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად, სადაც საცხოვრებლად ცალკე გამოყოფილი ჰქონდა ერთი ოთახი, ვინაიდან არის მეორე ჯგუფის ინვალიდი. 2015 წელს, მისი ძმის შვიდსულიანი ოჯახი დაკმაყოფილებული იქნა საცხოვრებელი ფართით, რაც საკმარისი იყო მხოლოდ ძმის, კარლო გოგრაჭაძის ოჯახისთვის და ფიზიკურად შეუძლებელი იყო მისი მათთან თანაცხოვრება. ამის შემდეგ ჰქონდა არაერთი შეხვედრა ბაღის ადმინისტრაციასთან, სადაც განუცხადეს, რომ მის გარდა კიდევ იყო ოჯახები დარჩენილი, რომლებთანაც მიდიოდა მოლაპარაკება ბინით დაკმაყოფილებაზე და მათ შორის იქნებოდა მისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი განხილული. დღეის მდგომარეობით, ბაღის ტერიტორიაზე დარჩენილი არის მხოლოდ ის და ითხოვა საქმის გულდასმით შესწავლა და დახმარება მოცემულ სიტუაციაში.

ნათელა გოგრაჭაძის განცხადებასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს ადმინისტრაციის პოზოცია (#01-17/391; 05.09.2018წ.): ჩვენს მიერ გულდასმით და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი ნათელა გოგრაჭაძის მომართვა ბინით დაკმაყოფილების თობაზე, რაზედაც განვმარტავთ შემდეგს: მიგვაჩნია, რომ ნათელა გოგრაჭაძეს უნდა მიეცეს საცხოვრებელი ბინა რადგან ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ყოფილი მაცხოვრებლები (რომლებიც აღრ ცხოვრობენ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე და ისინი დაკმაყოფილებული არიან ბინებით), რომლებმაც დაადასტურეს და დაგვისაბუთეს, რომ ნათელა გოგრაჭაძე ყოველთვის ცხოვრობდა ცალკე ოჯახად. აქამდე არსებული ინფორმაციით და მდგომარეობით ნათელა გოგრაჭაძე ცხოვრობდა ბაღის ტერიტორიაზე ძმასთან კარლო გოგრაჭაძესთან ერთად. იმ დროისთვის როდესაც დაიწყო ბაღის ტერიტორიიდან განსახლების პროცესი ნათელა გოგრაჭაძე შეყვანილი იქნა ძმის ოჯახის შემადგენლობაში. რასაც იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა თავიდანვე და მოითხოვდა მისი ძმის ოჯახიდან ცალკე გამოყოფას. საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა ასევე ის გარემოებაც, რომ მათ ქონდათ დამოუკიდებელი შემოსავლელი და გასასვლელი და სრულად იყვნენ ისინი იზოლირებული ერთმანეთისგან. აღნიშნული დაგვიდასტურა მან პირად საუბრებშიც და ასევე დადასტურებული იქნა ფაქტი ყოფილი მეზობლების მხრიდანაც. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ქალბატონი ნათელა არის პენსიონერი, მარტოხელა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არ გააჩნია მას არანაირი შემოსავლის წყარო, ამასთან იგი დარჩენილია ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე როგორც ბოლო მოსახლე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით გთხოვთ, კიდევ ერთხელ შეისწავლოთ ნათელა გოგრაჭაძის ბინით დაკმაყოფილების საკითხი. დღეის მდგომარეობით იქ სადაც ცხოვრობს ნათელა გოგრაჭაძე ბოტანიკურ ბაღს მოწყობილი აქვს მცენარეთა სხვადასხვა სახეობების საკოლექციო მიწის ნაკვეთები. ამ ეტაპზე ვერ გვეძლევა ფიზიკურად საშუალება განვავითაროთ ტერიტორია ლანდშაფტური არქიტექტურის მიხედვით, მოვამზადოთ ახალი ტერიტორიები მცენარეთა კოლექციის შესავსებად, დავგეგმოთ ახალი ტერიტორიების განაშენიანება, გავაჩინოთ ახალი სივრცეები ვიზიტორებისათვის. ამდენად მისი ბაღიდან გაყვანის შემთხვევაში მოვახდენთ სასწრაფო წესით ფიცრული სახლის დემონტაჟს, სრულად მოვაწესრიგებთ ტერიტორიას და განვახორციელებთ კაპიტალურ და ბაღისთვის მნიშვნელოვანი ახალი იერსახის შემცვლელ ლანდშაფტურ პროექტებს.

მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ნათელა გოგრაჭაძეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. #103-ში მდებარე 35,20 კვ.მ. ფართის ბინა #16ა (სადარბაზო 1, სართული 8; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.26.04.046.01.016ა) და საკუთრებაში გადასაცემი ბინის სარემონტო თანხა 1 კვ.მ.-ზე 250 ლარის ოდენობით, სულ 8800,00 (რვაათას რვაასი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: 4 (დ. ჭეიშვილი, რ. თავართქილაძე,
ი. თოფურიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსა და ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ შორის 2012 წლის 18 ივნისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, მცირე საოჯახო ტიპის სახლის პოტენციური ბენეფიციარების შეფასება-განთავსებისა და საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების სასკოლო განათლებით, ჯანდაცვისა და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაქმების ცენტრს სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე 261,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 05.28.41.008). ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე მხარეთა შორის 2012 წლის 24 ოქტომბერს დადებული შეთანხმებით მითითებული ქონებით სარგებლობის ვადად განისაზღვრა წელი, რომელიც ამოიწურა 2018 წლის 18 ივნისს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 14 დეკემბერს შემოტანილი N195/12 (N33781/25) წერილით ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ ითხოვს ზემოთ აღნიშნული ფართის, 7 წლით, სიმბოლურ ფასად - 100 ლარად სარგებლობაში გადაცემას, საქმიანობის გაგრძელების მიზნით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ა(ა)იპ „ფონდი ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“, საქმიანობის გაგრძელების მიზნით, სიმბოლურ ფასად, სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე 261,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 118,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 05.28.41.008) და სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 100,0 (ასი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 3 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

12. მუნიციპალური პროგრამის „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №72 დადგენილებით გათვალისწინებულია „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერიის საბინაო ფონდიდან გამოყოფილი საცხოვრებელი ბინები გადაეცემა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრები (დედა ან/და მამა) დაბადებულია ქ. ბათუმში, მაგრამ მიმდინარე პერიოდისათვის საცხოვრებელი ადგილი რეგისტრირებულია საქართველოს სხვა რეგიონში და რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 საცხოვრებელი ბინით, რომლის საერთო ფართი შეადგენს 120 კვმ-დან 135 კვმ-მდე. ამასთან ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 23 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს 3 წელს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები). კონკრეტული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. თანხმობის მიღების თაობაზე საკითხს ამზადებს და საკრებულოს განსახილველად წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მოდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა. ქვეპროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა გადაეცემა შემდეგ მდგომარეობაში: მოწესრიგებული ფასადი და სახურავი; სან-ტექნიკური დანადგარები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა შტრიხები; ფანჯრები; კარები; ტიხრებისა და კონტურის კედლების შელესვა; შეღებილი შიდა კედლები; ელ. გაყვანილობა (თითო ოთახზე ორი ელ. წერტილი); ოთახებში დაგებული ლამინირებული პარკეტი; დამონტჟებული შიდა კარები; კეთილმოწყობილი სამზარეულო (ავეჯის გარეშე); კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ან გადაეცემა ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის ერთჯერადად გამოყოფილი თანხა - 1 კვ. მ -ზე 250 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი უკვე გადაეცათ. ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 150 კვ მეტრი და მეტი. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს. (უპირატეს ქულად განსაზღვრულია 70 000 ქულა);

მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთა მონაცემებიც შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: შვილების დაბადების მოწმობები; ქორწინების მოწმობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2018 წლის 06 დეკემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №32750/25 განცხადებით მომართა ირინე კახიძემ და მოითხოვა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ირინე კახიძეს და როინ კახიძეს (მეუღლე) ჰყავთ 7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ ირინე კახიძის და როინ კახიძის უფროსი შვილის ასაკი არ აღემატება 23 წელს. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2018 წლის 18 დეკემბრის №15578-25 მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ ირინე კახიძის ოჯახი აკმაყოფილებს ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 2015 წლის 05 აგვისტო №191820 (KA011760744412715) და 2014 წლის 29 იანვრის №18400 (KA011771922167114) წერილები, რომლითაც დასტურდება, რომ როინ კახიძის და ირინე კახიძის სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ ირინე კახიძის თხოვნა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და მათ საკუთრებაში გადაეცეთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი საცხოვრებელი ბინა: ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული №11 საცხოვრებელი ბინა (ბლოკი „ბ“; მე-4 სართული; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.04.051.01.5024.1042) საერთო ფართით 129,0 კვ.მ. ასევე, გადაეცეთ აღნიშნული საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურება - 32 250 (ოცდათორმეტი ათას ორასორმოცდაათი) ლარი, მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 3 (დ. ჭიიშვილი, ი. თოფურძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

13. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ე. ქავჭავაძე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016399) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: განისაზღვროს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის შემდეგი დიფერენცირებით:

ა) 01 იანვრიდან - 30 აპრილის ჩათვლით 20 (ოცი) ლარის ოდენობით;

ბ) 01 მაისიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.“

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა თამარის დასახლებიდან ბონში, ბაზრობის მიმართულებით სამარშრუტო ავტობუსის დანიშვნის თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ დაავალა მომხსენებელს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ორი კვირის განმავლობაში ინფორმაციის მიწოდება.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ წამოაყენა წინადადება სამარშრუტო მიკროავტობუსებისთვის რეგულაციის მიღება გაჩერების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 4 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურაძე, ნ. დუმბაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 1(ლ. ანთაძე)

დასადგინეს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოხსმინეს :

14. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. #21-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დადგენილი სატრანსპორტო ზონა 1-ის შეცვლა საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-ით. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ნაკვეთები არ წარმოადგენს სატრანსპორტო ზონისათვის შესაფერის მიწის ნაკვეთს მდებარეობისა და რეგისტრაციის მიხედვით, ასევე ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე ზონის დადგენამდე შეთანხმებული იყო საპროექტო დოკუმენტაცია და ზონის გამო ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის განვიტარება, მიზანშეწონილია დადგენილი ზონა შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: 4 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურძე, ნ. დუმბაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დასადგინეს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №80 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №80 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №80 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით - დადგენილებით დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 4 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურაძე, ნ. დუმბაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ნატალია ზოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით აღნიშნული საბჭოს დებულება დამტკიცებულია ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინის-

ტრაციული აქტით - განკარგულებით. ამასთან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე შესაბამისი დეპარტამენტის წერილობითი რეკომენდაცია დასახელებული საბჭოს დებულება დამტკიცდეს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით - დადგენილებით. აღნიშნულს უკავშირდება წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ: 4 (დ. ჭეიშვილი, ი. თოფურძე, ნ. დუმბაძე,
ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თეზიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

